

1.159.9

განათლებისადმი დამოკიდებულება თაობათა თვალსაზრისით

¹მზია წერეთელი, ²ია აფთარაშვილი, ³ნინო ლაბარტყავა, ⁴ირინე გედევანიშვილი

^{1,2,3,4}ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი

ანოტაცია:

კვლევის მიზანია განათლებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ორი თაობის (1960-65წწ. და 1990-95წწ. დაბადებული) შეხედულებების შესწავლა და მათი შედარებითი ანალიზი. აღნიშნული თაობები გამოყოფილ იქნა სტრატუსისა და ჰაუს თაობათა თეორიაზე დაყრდნობით და საქართველოში ამ პერიოდში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით მიჩნეულ იქნა X და Y თაობად.

კვლევაში გამოყენებულია ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. ჩატარდა 56 ინტერვიუ. რესპოდენტები შეირჩა ჯგუფებში ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით ხელმისაწვდომი შერჩევის საფუძველზე. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა კონტენტ-ანალიზის მეთოდით ღია კოდირების პრინციპით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თაობათა შორის არსებობს მკაფიო განსხვავებები განათლების რაობისა და მიზნის გააზრების მიხედვით. მილენიალებისათვის კონსტრუქტი „განათლება“ ზოგადი კატეგორიაა და იგი პიროვნულ და კაცობრიობის განვითარებასთან არის დაკავშირებული, ხოლო X თაობისთვის იგი უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა და დაკავშირებულია კონკრეტული ადამიანის ცოდნასთან და მისი გამოყენების უნართან. ახალი თაობისთვის განათლებული ადამიანის კონცეპტი სამ კომპონენტანია: ცოდნა, ადეკვატური ქცევა/გადაწყვეტილებები და ცოდნის საზოგადოებაში წარმოჩენის უნარი. X თაობისთვის განათლებულ ადამიანი კულტურულად ნორმატიული დადებითი ნიშან-თვისებების მატარებელია. ძველი თაობისთვის განათლების მიზანი პიროვნების მაღალი სოციალური სტატუსის, მატერიალური უზრუნველყოფის და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზეა მიმართული, მილენიალები კი აღნიშნულ კონსტრუქტს აფართოებენ პიროვნულ ზრდასთან დაკავშირებული მიზნებით.

საკვანძო სიტყვები: განათლებისადმი დამოკიდებულება, კონცეპტი „განათლება“, Y თაობა, მილენიალები, X თაობა.

შესავალი

განათლება და განათლების საკითხები ნებისმიერ სოციუმში განხილვის უმნიშვნელოვანეს საგანს წარმოადგენს. რას ნიშნავს ცნება „განათლება“, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს იგი, რა გზებითა და საშუალებებით ხდება განათლების მიღება. ეს ის თემებია, რომლებიც მუდმივად განიხილება ყველა ეპოქასა და კულტურაში. ზოგადი დეფინიციის თანახმად, ცნება „განათლება“ გულისხმობს „სოციუმში დაგროვილი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ერთი თაობიდან მეორეში გადაცემის პროცესს“ (Encyclopedia Americana, 2016). ის ასევე განისაზღვრება როგორც

დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სწავლა-სწავლების მეთოდებს, ძირითადად ისეთ ფორმალურ გარემოში, როგორცაა სკოლა, პროფესიული კოლეჯი, უნივერსიტეტი და ა.შ. (Encyclopaedia Britannica. 2016). ჯონ დიუსის თანახმად „განათლება კულტურის, სულიერი საზრდოს გადაცემის, აღზრდის, განვითარების პროცესია. ეტიმოლოგიურად სიტყვა „განათლება“ აღზრდისა და გაძლიერების პროცესს აღნიშნავს. როდესაც ვსაუბრობთ ამ პროცესის შედეგებზე, ვგულისხმობთ განათლებას, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების, ფორმირების ხელშეწყობისკენ მიმართულ საქმიანობას, ანუ საქმიანობას, რომელიც სოციალური ქმედებების სტანდარტული ფორმისთვის მორგებას გულისხმობს (დიუი, 2010).

ისტორიულ-ნორმატიული მოვლენების ზეგავლენით იცვლება საზოგადოების შეხედულებები, დამოკიდებულებები და ღირებულებები. თანამედროვე, სწრაფად ცვალებად სამყაროში მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური გარდაქმნების ფონზე ინდივიდის, როგორც სოციალური ერთეულის, წინაშე დგება ახალი გამოწვევები, რომლებიც მუდმივად ითხოვს მისგან სამყაროს ახლებურ გააზრებას, ხედვას, ახალი უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენას. დრო და ისტორიული მოვლენები გარკვეულ ცვლილებებს იწვევს არა მხოლოდ ეკონომიკასა და პროგრესში, არამედ შეხედულებებშიც და მათ შორის განათლების ცნების გაგებაშიც.

საკითხი, თუ როგორ ესმით სხვადასხვა კოჰორტას განათლების არსი, დანიშნულება და პროცესი თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ბოლო 50 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი გარდაქმნები განხორციელდა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. კერძოდ,

- შეიცვალა საგანმანათლებლო პარადიგმა და წამყვანი გახდა მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა. რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებული გახდა არა გარკვეული ცოდნის დაგროვებასა და გადაცემაზე, არამედ თავად მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირებაზე, შესაბამისი უნარების გამომუშავებაზე. მასწავლებლის მიერ ცალსახად მართული პროცესი ჩანაცვლდა მოსწავლის ინტერესებისა და ინდივიდუალიზმის გათვალისწინებით აღძრული პროცესით; შესაბამისად, პრიორიტეტი გახდა არა „ცოდნის დაგროვებაზე“ ორიენტირებული, არამედ „გენერაციული, შემოქმედი“ თაობის აღზრდა (ესგ, 2006).
- შეიცვალა შრომის ბაზრის მოთხოვნები. მეტი აქცენტი გაკეთდა კადრებზე, რომლებიც აღჭურვილნი არიან არა მხოლოდ დეკლარაციული ცოდნით, არამედ ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, აქვთ სპეციალობის შესატყვისი პიროვნული თუ პროფესიული უნარები და შემდგომი განვითარების პოტენციალი.
- გაიხსნა გზა საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ბოლონის პროცესმა უზრუნველყო ის, რომ განათლების მიღება/გაგრძელება და დასაქმება შესაძლებელი გახდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. განვითარებულმა ტექნოლოგიებმა, ვიზუალიზაციისა და მოდელირების შესაძლებლობებმა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა და კომპიუტერულმა ინჟინერიამ ფაქტობრივად წაშალა ცოდნის მიღების გეოგრაფიული საზღვრები.

ამგვარი ცვლილებები, ცხადია, განათლებისადმი დამოკიდებულების ცვლილებაზე უნდა ასახულიყო. თუ ადრე განათლების მიღების პროცესში წარმატების მიღწევის და სასურველი სტატუსის მოპოვების საბოლოო შედეგად მიიჩნეოდა გარკვეული ცოდნისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი-დიპლომი (რაზეც ცალსახად მოწმობს 90-იანი წლების პერიოდის უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების მსურველებისა და შემდეგ მოპოვებული კვალიფიკაციით დასაქმების სტატისტიკა), ახლა, თანამედროვე ცხოვრებაში, მეტად ფასობს ცოდნის სისტემატური განახლებისა და მიღებული ცოდნით თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის მოცემულობას განათლების მიღების პროცესში. ამასთანავე, ვინაიდან საქართველო ისწრაფვის ევროპის საზოგადოებასთან ინტეგრაციისაკენ და მის წინაშე დგას ევროპული პოლიტიკისა და სისტემების შესაბამისად განათლების სისტემის მოდერნიზების საჭიროება. სწრაფი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების გამო ახალ თაობას მეტად უწევს ცვალებად შრომის ბაზართან შეგუება, ვიდრე - წინა თაობებს. დროთა განმავლობაში მუშაობის დაწყებამდე, თუ დაწყების შემდეგ, ადამიანებს მნიშვნელოვანი კარიერული ცვლილებები და უწყვეტი გადამზადება სჭირდებათ.

ამგვარ ცვლილებებს განათლებისადმი დამოკიდებულებაც უნდა შეეცვალოს, არა მხოლოდ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო დონეზე, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერების დონეზეც, ახალ თაობას მუდმივად უწევს ცვალებად შრომის ბაზართან შეგუება/მორგება, რაც ახალი გამოწვევების, კერძოდ, კი მუდმივი განვითარების წინაშე აყენებს მათ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირებულ მოვლენებს ბიძგი მისცა საქართველოში 90-იან წლებში მომხდარმა მკვეთრმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა. საბჭოთა კავშირის ნგრევამ, გარდამავალმა პერიოდმა და შემდგომ, ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობამ, ცხადია, შეცვალა არა მხოლოდ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, არამედ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მისი მოქალაქეები. ახალმა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა კონტექსტმა გარდამტეხი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების ცნობიერებაზე, რამაც ახალი, განსხვავებული თაობის წარმოშობას დაუდო დასაბამი. ამგვარად, მოხდა თაობათა არა მხოლოდ ისტორიული, არამედ - თვისებრივი ცვლაც. კვლევები გვიჩვენებს (Elmore, 2014), რომ ყოველი ახალი თაობის წარმომადგენლები არა მხოლოდ ეპოქალურ და მატერიალურ, არამედ მენტალურადაც განსხვავებულ ინდივიდუალურ გარემოში იზრდებიან და ყალიბდებიან. ეს კი განაპირობებს სხვადასხვა თაობათა ფორმირებას, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ღირებულებებით, პიროვნული მახასიათებლებით, უნარებით, მსოფლმხედველობით და ფიზიკური მონაცემებითაც კი (Cherri, 2010; Reisenwitz, 2009; Twenge & all, 2012). სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია X (დაბადებული 1966-1976 წლებში), Y (დაბადებული 1977-1994 წლები), Z (დაბადებული 1995-2012 წლებში) და სხვა თაობები (Schroer, 2013; WMFC, 2001; Gaylor, 2002).

თაობათა თეორია

თაობა - ეს არის თანატოლთა საზოგადოება, რომელიც ყალიბდება სოციალურ-დემოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული პირობების ზეგავლენით. თაობას გააჩნია მსგავსი სოციალურ - ფსიქოლოგიური, იდეურ-ზნეობრივი და ეთნოკულტურული მახასიათებლები, ღირებულებები, სოციალური გამოცდილება და ცხოვრების სტილი (Исаева, 2011).

სამეცნიერო ინტერესი თაობათა შორის პრობლემათა ანალიზის მიმართ დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში გაჩნდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც მოხდა დროის, როგორც კატეგორიის ფილოსოფიური გააზრება (Исаева, 2011).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ ევროპულ სოციალურ ფილოსოფიაში - „თაობას“ ჰქონდა რამდენიმე ახსნა (Kertzer, 1983), რომელიც დღესაც აქტუალურია. კერძოდ,

1. ბიოლოგიურ-გენეტიკური, ან დემოგრაფიული ახსნა, რომელიც მშობლებისა და შვილების თაობას მიიჩნევდნენ კონსტანტად, რომელიც არ არის დამოკიდებული საზოგადოების მდგომარეობაზე;
2. პოზიტივისტურ-ნატურალისტური განსაზღვრებით, თაობა - არის დროისა და სივრცის გავლენით ფორმირებული ჯგუფი, სადაც გარკვეული ასაკობრივი ჯგუფი განიხილება დროში თანხვედრისა და სივრცეში ლოკალიზაციის მიხედვით;
3. თაობის ისტორიულ კულტურული ხედვა დაფუძნებულია ხედვაზე, რომ თაობა არის იდეურ-სულიერი საზოგადოება, რომელიც აღმოცენებულია კონკრეტული კულტურისა და ღირებულებების გავლენით, რომელთაც დაამტკიცეს საკუთარი ისტორიული მდგრადობა. თაობის ფორმირება ხდება სხვადასხვა სიჩქარით, გამომდინარე სოციალური ცვლილებების სიჩქარიდან. თაობის ხანგრძლივობის რაოდენობრივი გაგება აღნიშნულ კონცეფციაში განისაზღვრება როგორც საშუალო ასაკობრივი სხვაობა მშობლებსა და შვილებს შორის დროის კონკრეტულ მონაკვეთში. მოვლენათა სწრაფი ცვლილებების დროს, თაობათა ასაკს შორის განსხვავება შეიძლება ნაკლები იყოს, ვიდრე ორ თაობას შორის (მშობლებისა და შვილების) საშუალო ასაკობრივი სხვაობაა. საპირისპიროდ, ტრადიციულ საზოგადოებაში - თაობა შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფს (მაგ., დიდ ბაბუას, ბაბუას, მამას, შვილს, შვილიშვილს და ა.შ) ვინაიდან, მათ კულტურასა და ღირებულებებში თითქმის არ მომხდარა ცვლილებები.
4. თაობა, ისტორიულ-პოლიტიკური გაგებით ეს არის დროებით ფორმირებული ერთობა / თემი კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთში.

მე - 19 საუკუნის მეორე ნახევრის შრომათა უმრავლესობაში თაობათა ცვლილებებს განიხილავდნენ როგორც ისტორიული პროცესის განმაპირობებელ ძალას (Савельева & Полетаев, 1997). აღნიშნულ შრომების იდეა მდგომარეობდა შემდეგში, რომ ისტორიულ ცვლილებებს იწვევდა ბიოლოგიური რიტმი. იდეის განვითარება მოხდა მე-20 საუკუნის 20-30 იან წლებში. მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიული პროცესების ბიოლოგიურმა ახსნამ თანდათან დაკარგა თავის პოპულარობა.

მე-19 საუკუნის 60 -70 წლებში არსებობდა ალტერნატიული შეხედულებაც, რომ თაობათა ცვლილებას ისტორიული მოვლენები განაპირობებენ. აღნიშნული მოსაზრება მეცნიერულად ფორმირებულ იქნა გერმანელი ფილოსოფოსის, ვ. დილთეის (Савельева

& Полетаев, 1997) შრომებში. მისი აზრით, ახალგაზრდობის მძაფრი შთაბეჭდილებები, უფროსთა ზეგავლენა - ერთი თაობის ადამიანებში განაპირობებს მსგავს ფილოსოფიურ, სოციალურ და კულტურულ წარმოდგენებს.

აღნიშნულმა ჰიპოთეზამ ასახვა ჰპოვა გერმანელი სოციოლოგის კარლ მანჰეიმის შრომებში, რომელმაც პირველმა სცადა განეზოგადებინა თაობათა ისტორიული პრობლემები სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ კონტექსტში (Mannheim, 1952).

კარლ მანჰეიმმა თაობა განმარტა, როგორც მთლიანობა, რომელსაც გააჩნია გარკვეული მდგომარეობა სოციუმში და ურთიერთობათა სპეციფიკური ფორმა მათ წარმომადგენლებს შორის. კარლ მანჰეიმის თვალსაზრისით, თაობის ფორმირებისთვის მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიულ ადგილს, ვინაიდან ერთი თაობის წარმომადგენლები უნდა მონაწილეობდნენ ერთი და იმავე პროცესებში და ჰქონდეთ საერთო გამოცდილება. მაგრამ თაობის წევრთა მიერ გარკვეული ისტორიული იდეის მიღება ხდება არა თავისუფალი არჩევანის გზით, არამედ სოციალიზაციის პროცესში (Mannheim, 1952).

ამასთანავე, ოდითგანვე არსებობდა თაობების ისტორიულ ციკლებად დაყოფის გამოცდილება. ყველაზე ხშირად ისტორიული ციკლი ორ თაობას მოიაზრებდა, რომელთაც ურთიერთსაწინააღმდეგო მახასიათებლებით აღწერდნენ: „რელიგიურობა-ათეიზმი“, „კონსერვატიზმი - ლიბერალიზმი“, ბრძოლის სიყვარული-მშვიდობისმოყვარეობა (Исаева, 2011).

ისტორიულად ცნობილია თაობათა ოთხ ციკლად კლასიფიკაციისა და სახელდების გამოცდილებაც. ერთ-ერთმა პირველმა ამგვარი ციკლი შუასაუკუნეების არაბმა მოაზროვნემ აბდურახმან იბნ ხალდუნმა (1332-1406) აღწერა. მან სხვადასხვა სახელმწიფოთა და დინასტიის ციკლები შეისწავლა და თაობათა სახელდება შემდეგნაირად მოახდინა: „დამაარსებელი“, „გამგრძელებელი-დამაარსებლის შვილი“, „იმიტატორი - შვილიშვილი“ და „დამანგრეველი - შვილთაშვილი“. ოთხ თაობად დაყოფილ ციკლს ვხვდებით იტალიელი ისტორიკოსის ჯ. ფერარის შრომებშიც (1874), სადაც მან 110-120 წლიანი ციკლის თაობების შემდეგი სახელდება შემოგვთავაზა: «წინამორბედები», „რევოლუციონერები“, „რეაქციონერები“, „დამსრულებლები“. აღნიშნული ავტორები თაობათა ციკლურ ცვლილებას მეტად ეკონომიკურ ციკლებთან აკავშირებდნენ (Савельева & Полетаев, 1997) .

თანამედროვე მიდგომებში კვლავ პოპულარულია თაობათა განხილვა გარკვეული ციკლის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა დემოგრაფის ნ. ჰაუსა და ისტორიკოსის ვ. სტრაუსის „თაობათა თეორია“ (Strauss, Howe, 1991), რომელთაც აშშ-ს ისტორია თაობათა შორის კონფლიქტის კონტექსტში გაანალიზეს. მათ აღმოაჩინეს, რომ არსებობს გარკვეული პერიოდები, როდესაც ადამიანთა უმრავლესობას აქვს მსგავსი ღირებულებები. ერთი ციკლი ავტორთა აზრით გრძელდება 80-90 წელი და თავის მხრივ 4 პერიოდად იყოფა (Strauss, Howe, 1997).

ავტორთა აზრით, ცვლილებები დამოკიდებულია - „კრიზისებისა“ და „აღმავლობის პერიოდების მონაცვლეობაზე. „კრიზისების“ დროს საზოგადოება ორიენტირებული ხდება ინსტიტუციებისა და საზოგადო ქცევის ცვლილებებზე. ინდივიდს საკუთარი ინტერესების დათმობა უწევს საზოგადო კეთილდღეობისათვის.

„აღმავლობის პერიოდში” - კი განახლება რელიგიურ და კულტურულ დონეზე მიმდინარეობს, როდესაც საზოგადოების წარმომადგენელი ინდივიდები ორიენტირებულნი ხდებიან შინაგანი სამყაროსა და ღირებულებათა ცვლილებებზე. კრიზისების დროს საზოგადოება მიმართული ხდება კონსენსუსებსა და ინსტიტუციური წესრიგის სასიკეთოდ პირადი ინტერესების დათმობაზე. „აღმავლობის პერიოდში” - წინა პლანზე მოდის ინდივიდუალისტური ეთიკა, ინსტიტუციური წესრიგი კი ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი ახალი სოციალური იდეალებისა და სულიერი პარადიგმებიდან გამომდინარე (Strauss, Howe, 1997).

სტრაუსმა და ჰაუმ თაობა განმარტეს როგორც 20 წლიანი შუალედით დაბადებულ ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ სამი მსგავსი კრიტერიუმი:

1. ისინი იკვებებიან ერთ ისტორიულ ეპოქაში. მსგავს ასაკობრივ კატეგორიაში უწევთ გადატანა ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის ან სოციალური ცვლილებების;
2. მათ აქვთ მსგავსი დამოკიდებულებები და ქცევის მოდელები.
3. გამომდინარე მსგავსი გამოცდილებიდან, მათ აერთიანებთ თაობისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა (Strauss, Howe, 1997).

დასავლეთის ქვეყნებში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ყოველი ახალი თაობის წარმომადგენლები არა მხოლოდ ეპოქალურ და მატერიალურ, არამედ მენტალურადაც განსხვავებულ ინდივიდუალურ გარემოში იზრდებიან და ყალიბდებიან (Mannheim, 1952). ეს კი განაპირობებს სხვადასხვა თაობათა ფორმირებას, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ღირებულებებით, პიროვნული მახასიათებლებით, უნარებით, მსოფლმხედველობით და ფიზიკური მონაცემებითაც კი (Исаева, 2011). აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა თაობებს სწავლისადმი განსხვავებული მიდგომები აქვთ და სწავლა/სწავლების სხვადასხვა ასპექტებს ანიჭებენ უპირატესობას (Cambiano & all, 2001).

კვლევის მიზანი და ამოცანები

განათლების სისტემა ყოველთვის სულ მცირე ორი თაობის წარმომადგენლების ინტერაქციაზეა დაფუძნებული. იგი მოიცავს როგორც უშუალო, პირდაპირ კომუნიკაციას (მაგ., სასწავლო ოთახში ან აუდიტორიაში) ან კიდევ გაშუალებულ კომუნიკაციის ფორმებს, როგორცაა, უფროსი თაობის მიერ ახალი თაობისთვის შექმნილი ცოდნის გადაცემის სხვადასხვა ფორმები: სასწავლო მასალები, სწავლების მეთოდები, ინსტრუქციები, შეფასების სისტემები და ა.შ. ამდენად, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები სასწავლო პროცესში განათლების მიზნის გარშემო ერთიანდებიან.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ხდება იმის შესწავლა, თუ როგორ აფასებენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები განათლების მიზანს, როგორ ესმით მათ ცნება „განათლება“ და ზოგადად, რა შინაარსს მოიცავს განათლებასთან დაკავშირებული კოგნიტური სტრუქტურები. ასევე საინტერესოა, მოტივაციის საკითხიც, კერძოდ კი, ის ფაქტორები, რომლებიც სხვადასხვა თაობაში განათლების მიღების მოტივაციას განაპირობებენ.

მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ის ფაქტობრივად არ არის შესწავლილი. განათლების სფეროში კვლევათა უმეტესობა მოიცავს მხოლოდ ზოგადი განათლების პერიოდს სასკოლო სისტემის ფარგლებში ან კიდევ ცალკეული საგნებისა და დისციპლინების ათვისებასთან დაკავშირებულ

საკითხებს (ეროვნული... 2006, 2007). ნაკლები ყურადღება ეთმობა მოზრდილთა განათლებასა და უწყვეტი განათლების, განათლებისადმი დამოკიდებულებისა და განათლების, როგორც სწავლის მამოტივირებელი ღირებულების სხვადასხვა ასპექტებს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა განათლებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ორი თაობის - 1. 1960-65 წლებში დაბადებული თაობა და 2. 1990-95 წლებში დაბადებული თაობა - შეხედულებები (მენტალური სტრუქტურები) და დამოკიდებულებები, აგრეთვე, მოგვეხდინა მათი შედარებითი ანალიზი. იქიდან გამომდინარე, რომ 1960-65 წლებში დაბადებულებმა უმაღლესი განათლება მიიღეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში და ხოლო მეორე ჯგუფმა კი - უკვე დემოკრატიული საქართველოს პირობებში, თაობათა თეორიაზე დაყრდნობით, ჩვენ ვვარაუდობთ, ისინი განსხვავებულ თაობებს უნდა წარმოადგენდნენ და შესაბამისად, პირველ ჯგუფს ჩვენ მივიჩნევთ X თაობად, ხოლო მეორეს - კი ე. წ. მილენიალებად ანუ Y თაობად.

კერძოდ, კვლევის ამოცანებია, გაანალიზდეს აღნიშნულ თაობებთან მიმართებაში, თუ

1. როგორ ესმის ინდივიდს განათლების არსი, რა სემანტიკის მატარებელია მისთვის აღნიშნული ცნება;
2. რა მიზანს ემსახურება განათლება; რა არის განათლების, როგორც პროცესის, სასურველი შედეგი.

კვლევის ჰიპოთეზები

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ ნორმატიული ფაქტორების გავლენა მენტალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე თანაბრად მნიშვნელოვანია ორივე თაობისათვის, განსხვავებული იქნება თაობების მიხედვით:

ა) ცნების „განათლება“ არსი და მისი სემანტიკური მნიშვნელობა;

ბ) განათლების მიზნებისა და მისი შედეგებისადმი მოლოდინი/დამოკიდებულება;

კვლევის მეთოდოლოგია

იმის გათვალისწინებით, რომ თვისებრივი კვლევა საშუალებას გვაძლევს სოციალური ფენომენები ბუნებრივ გარემოში შევისწავლოთ და გავიგოთ ინფორმაცია მონაწილეთა შინაარსების, გამოცდილებისა და ხედვების შესახებ, ჩვენ სწორედ თვისებრივი კვლევის მეთოდი ავირჩიეთ კვლევის ძირითად ინსტრუმენტად.

გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. სულ ჩატარდა 56 ინტერვიუ, 28-28 სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ბაკალავრის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები (დაბადებულნი 1990-1995 წლებში), ასევე ის ინდივიდები, რომლებიც დაბადებულნი არიან 1960-65 წლებში და სწავლა უმაღლესი განათლების პირველ

საფეხურზე დაასრულეს 1980-1988 წლებში (ქვეყანაში მკვეთრი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების დაწყებამდე). რესპოდენტთა შერჩევა განხორციელდა ჯგუფებში ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით ხელმისაწვდომი შერჩევის საფუძველზე.

მოხდა ინტერვიუების დიქტოფონზე ჩაწერა და ტრანსკრიფტების მომზადება.

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა კონტენტ-ანალიზის მეთოდით ღია კოდირების პრინციპით. მონაცემთა ანალიზის პირველად ეტაპზე სამი მკვლევარის მიერ მოხდა ინტერვიუების კოდირება: ძირითად საკვლევ საკითხთან მიმართებაში კოგნიტური ერთეულების გამოვლენა (იდენტიფიცირება), მათი სახელდება და კატეგორიზაცია. აღნიშნული ინფორმაცია შეგროვდა საინფორმაციო ბაზაში, რომელშიც მოცემული იყო ასევე რესპოდენტის სხვა (დემოგრაფიული მონაცემებიც). შემდეგ ეტაპზე, სამი მკვლევარის მიერ მოხდა გამოყოფილი კატეგორიების ექსპერტიზა. საბოლოო ეტაპზე განხორციელდა თაობათა ჭრილში მონაცემების განხილვა და უფრო მსხვილ კატეგორიებში გაერთიანება და ანალიზი.

კვლევის შედეგები

განვიხილოთ კვლევის შედეგები კვლევაში დასმულ ძირითად კითხვებთან მიმართებაში:

კითხვა I : რას გულისხმობს ცნება განათლება?

კითხვაზე თუ რა მოიაზრება ცნებაში „განათლება“, რა არის განათლების არსი, როგორ შეიძლება ცნების „განათლება“ დეფინიცია, რესპოდენტთა პასუხები ძირითადად შემოიფარგლებოდა ისეთი ცნებითი კატეგორიებით, როგორცაა განვითარება, ადაპტაცია, ცივილიზაცია, აზროვნება, ცოდნის დაგროვება და ანალიზის უნარი.

Y თაობისთვის განათლების დეფინიციაში მოიაზრება შემდეგი კატეგორიები:

1. განათლება უწყვეტი განვითარებაა, რაც გულისხმობს გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას და აზროვნებას სხვადასხვა საკითხზე.

ასე მაგ., „...*მუდმივი განვითარება ალბათ... იმიტომ, რომ განათლებად არ შეიძლება ჩაითვალოს ერთი წიგნის წაკითხვა, ორის... განათლება არის, ზრდადი, ასე ვთქვათ და ყოველთვის უნდა ვითარდებოდეს..*“ (Y თაობის რესპოდენტი);

„ ... *განათლებაა? განვითარებას. გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას და აზროვნებას სხვადასხვა საკითხზე, აზროვნებას, მოსაზრებას*“ (Y თაობის რესპოდენტი).

2. განათლება არის კაცობრიობის მანძილზე დაგროვილი საკითხები და ცოდნა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

ასე მაგ., „...*ცნება განათლება გულისხმობს იმას, რომ ადამიანმა მიიღოს ყველა ის ინფორმაცია, პირველ რიგში, რომელიც რაღაც კაცობრიობის განვითარების ეტაპზე დაგროვებულა*“ (Y თაობის რესპოდენტი);

„... *განათლება გულისხმობს ცოდნის გადაცემას, ცოდნის ტრანსფორმაციას ერთი თაობიდან მეორე თაობაზე, ისე კი არა, რომ უფროსი თაობა გადასცემს უმცროს თაობას,*

გროვდება ცოდნა თაობებში, რომელიც გადაეცემა მომდევნო თაობას და აი ეს არის ზუსტად განათლება, რომელიც არის ცოდნის დაგროვება და ასევე ახალი ცოდნის შექმნის წინაპირობაც. რომ არ არსებობდეს ცოდნის გადაცემა, არ იქნებოდა არანაირი პროგრესი და არანაირი წინსვლა კაცობრიობის თვალსაზრისით. სოკრატეს რომ არ გადაეცა პლატონისთვის ცოდნა და მერე არისტოტელესთვის პლატონს, ფილოსოფია ვერ განვითარდებოდა და შესაბამისად, ვერც დემოკრატიული სისტემები განვითარდებოდა ძველ საბერძნეთში, რასაც დღესაც ვეყრდნობით“ (Y თაობის რესპონდენტი);

„...ჩემთვის ცნება „განათლება“ ეს არის გარემოში ის მნიშვნელოვანი საკითხები, ანუ საერთოდ, რაც კაცობრიობას მიუღწევია და აქვს შეძენილი... ვფიქრობ, რომ ეს თაობიდან თაობას რომ გადაეცემა ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ეს არის განათლება“ (Y თაობის რესპონდენტი).

X თაობისათვის განათლების დეფინიციაში მოიაზრება შემდეგი კატეგორიები:

1. განათლება არის პროფესიონალიზმი, ზოგადი რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

ასე მაგ., „... განათლება გულისხმობს იმას, რომ ადამიანმა ისწავლოს რაიმე სფერო კარგად, აი მაგალითად ეკონომიკა, ბიოლოგია. ნუ, გარდა ამისა, ალბათ, სხვა სფეროებშიც უნდა იყოს ჩახედული. თუ მაგალითად ტექნიკური მიმართულებით აქვს დამთავრებული, სასწავლებელი, უნდა ერკვეოდეს ცოტა ბუნებისმეტყველებაში. ანუ ყველაფერზე საუბარი უნდა შეეძლოს, მაგრამ არ ვამბობ, რომ სისულელეებს უნდა ლაპარაკობდეს. ცოტ-ცოტა ყველაფერზე უნდა ჰქონდეს ინფორმაცია და, რა თქმა უნდა, თავის სფეროშიც უნდა იყოს პროფესიონალი. აი თვითონ სიტყვასაც რომ დავუკვირდეთ „განათლება“ უფრო ჰგავს სინათლეს, როგორც სიბნელეში შუქი რომ აანთო და გაანათებს ოთახს ასევეა, ჩემი აზრით, განათლება ადამიანისთვის, ტვინს უნათებს და უფრო სწორ გადაწყვეტილებებს იღებს ცხოვრებაში.“ (X თაობის რესპონდენტი).

2. განათლება ნიშნავს ცოდნის დაგროვებას სხვადასხვა სფეროში და მის საჭიროებისამებრ გამოყენებას, კოგნიტური უნარების გამოყენებით გარემოსთან ადაპტირებას და სრულყოფილად ცხოვრებას.

ასე მაგ., „...კოგნიტური უნარები გამოიყენოს იმისთვის, რომ შეძლოს გარემოსთან ადაპტირება სრულყოფილად ცხოვრება. ეს არის განათლების არსი“ (X თაობის რესპონდენტი);

“...განათლება არის წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნა და ანუ გამოცდილების შესწავლა და ათვისება. და ანუ, განათლების გამოყენება ხდება ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ პრაქტიკაში და ანუ, განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანებისთვის, რადგან განათლება ეხმარება ადამიანებს ანუ, სხვადასხვა სიტუაციაში იმოქმედონ სწორად და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები ამ კრიტიკულ სიტუაციებში“ (X თაობის რესპონდენტი);

“...აჰა... ალბათ, პირველ რიგში ცოდნის მიღებას და მიღებული ცოდნის, ალბათ, შემდგომში პრაქტიკულ გამოყენებას. აამ... როგორც პროფესიული განხრით, ასევე ცხოვრებისეულად“ (X თაობის რესპონდენტი);

“... განათლება ესაა სხვადასხვა, არაერთი სფეროს შესახებ ცოდნის მიღება“(X თაობის რესპონდენტი);

„ ...ჩემთვის განათლება არის ადამიანის მიერ ცოდნის დაგროვება და აი ამ ცოდნის გამოყენება, უნარის შექმნა” (X თაობის რესპონდენტი).

3. განათლება არის ყველა კითხვაზე დასაბუთებული აზრის ქონა, რომელიც გარკვეულ სიბრძნეებს ემყარება.

ასე მაგ., „... ნუ განათლება ნიშნავს... ყველა შეკითხვაზე საკუთარი აზრის, დასაბუთებული აზრის ქონას, დასაბუთებული აზრი არ უნდა იყოს, ესე მე მინდა და ესე არის, ნუ საბუთი უნდა არსებობდეს ჭეშმარიტი ანუ რაღაცეებზე ან ბრძენ ადამიანებზე დაყრდნობით. არა, ერთ ბრძენ ადამიანს შეიძლება შენი საწინააღმდეგო აზრიც ჰქონდეს, მაგრამ ბრძენი ადამიანებიდან ამოკრეფილი აზრი უნდა შეაჯამოს, შეჯამება უნდა შეეძლოს ადამიანს, ანუ უნდა გამოყოს მისთვის მნიშვნელოვანი, ერისთვის მნიშვნელოვანი... (X თაობის რესპონდენტი).

4. განათლება არის ის, რომ შენ იცოდე სად როგორ მოიქცე.

ასე მაგ.,“... განათლება აუცილებელი არის. გაუნათლებლობაშიც შეიძლება ჩაითვალოს ელემენტარული ქცევებიც ადამიანის. ელემენტარული... შეიძლება იყო ნაკლებად განათლებული და იყო ისეთი, რომ ერთი უმაღლესი დაამთავრო, მეორე დაამთავრო, მესამე და მაინც ვერ ჩავთვალო მე განათლებულ ადამიანად. ... გაუნათლებლობაში ჩავთვლი იმასაც, რომ ადამიანმა სალაში არ იცის მაგალითად. აი, ელემენტარულად... (X თაობის რესპონდენტი).

როგორც კატეგორიებიდან ჩანს, ახალი თაობა ნაკლებ აქცენტს აკეთებს განათლების საფუძველზე მოპოვებულ სოციალურ სტატუსებზე, ავტორიტეტებზე და კონკრეტული სფეროს ფარგლებში ცოდნის დაგროვებაზე. მათი მასშტაბი უფრო ფართოა და გულისხმობს ინდივიდის განვითარებას და მისი უნარების სრულყოფას თაობების მანძილზე დაგროვილი ცოდნის საფუძველზე.

გამოვლენილი კატეგორიების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალი თაობისთვის ცნება “განათლება” განხილულია განვითარების კატეგორიაში, როგორც პიროვნების, ასევე - კაცობრიობის დონეზე. განათლება დროში უწყვეტი პროცესია და ამდენად, ეს ცნება უფრო ზოგადი კონსტრუქტია, ვიდრე - კონკრეტული. ძველი თაობისთვის კი ცნება “განათლება” უფრო მეტად არის დაკავშირებული კონკრეტულ ადამიანთან, კონკრეტულ ცოდნასთან და მის გამოყენებასთან. ამ მხრივ, ძველი თაობის “განათლების” ცნება უფრო კონკრეტულია და პრაგმატულ-ინსტრუმენტულ ხასიათს ატარებს. როგორც ჩანს, განათლება ძველი თაობისთვის პიროვნულ სრულყოფილებასთან არის დაკავშირებული.

კითხვა II: როგორ დაახასიათებდნენ რესპოდენტები „განათლებულ ადამიანს“

ამ საკითხზე Y თაობაში გამოიკვეთა შემდეგი კატეგორიები:

1. განათლებული ადამიანი არის ფართო მსოფლმხედველობის მქონე, ნაკითხი, აქვს ზოგადი ცოდნა და შეუძლია სხვადასხვა თემაზე საუბარი/მსჯელობა.

ასე მაგ., ... ანუ განათლებულ ადამიანს აქვს უფრო ფართო მსოფლმხედველური აზროვნება და ანუ, უფრო მეტი საკითხი ესმის და შესაბამისად, ანუ, გარკვეულ სტრესულ სიტუაციებში სწორ გადაწყვეტილებებს იღებს“ (Y თაობის რესპონდენტი);

„... განათლებული ადამიანი არის ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, რომ ჰქონდეს რაღაცა თავისი პირადი აზრი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და ნაკლებად მოექცეს რაღაცა ძან ისეთი კლიშეების გავლენის ქვეშ. ანუ, თავისი აზრი ჰქონდეს რაღაცეებთან დამოკიდებულებაში და შეძლოს, რომ ყველაფერი ის, რაც საჭიროა მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის, ნორმალური ცხოვრებისთვის...“ (Y თაობის რესპონდენტი).

„... ნაკითხ ადამიანზე, რომელსაც შეიძლება ყველა თემაზე ელაპარაკო“

„...განათლებული ადამიანი არის ნაკითხი და ამავდროულად ბუნებრივად დაჯილდოვებული სწავლის უნარით“ (Y თაობის რესპონდენტი);

„...განათლებული ადამიანი ისაა, ვისაც შეუძლია სიტუაციის მრავალმხრივი აღქმა და არა მხოლოდ სუბიექტური...“ (Y თაობის რესპონდენტი).

2. განათლებული ადამიანი ადეკვატურად აფასებს სიტუაციას და იღებს სწორ გადაწყვეტილებებს.

ასე მაგ.,... განათლებულმა ადამიანმა უფრო ბევრი რამ იცის, უფრო მეტი საკითხი ესმის და იღებს სწორ გადაწყვეტილებებს“ (Y თაობის რესპონდენტი).

„...განათლებული ადამიანი სწორად აფასებს სიტუაციებს და მარტივად იღებს გადაწყვეტილებებს“ (Y თაობის რესპონდენტი);

„...ანუ, ადამიანი, რომელიც კარგად ადაპტირდება გარემოსთან ამ თავისი უნარების საშუალებით“ (Y თაობის რესპონდენტი);

3. განათლებული ადამიანი თავისი საქმის პროფესიონალია.

ასე მაგ., „...განათლებული ადამიანი შეიძლება იყოს დავუშვავთ თანამდებობის პირი, ან არათანამდებობის პირი. შეიძლება ჩვეულებრივი მოსწავლე უფრო განათლებული იყოს ვიდრე - ვინმე ცნობილი ადამიანი. უნდა იცოდეს, პირველ რიგში, ის საქმე, რაც კარგად გამოსდის, ასევე ის, რითიც საქმიანობს და ასევე სხვადასხვა რამეები. არის მოწესრიგებული, კარგი პროფესიონალი. იცის, როდის რა უნდა გააკეთოს“ (Y თაობის რესპონდენტი);

„...მთავარია, რომ თუ ვიწრო, თავის სფეროში ადამიანი არის პროფესიონალი(ერთდროულად) განათლებულიც არის“ (Y თაობის რესპონდენტი);

„... განათლებული ადამიანი საკუთარი საქმის პროფესიონალია“ (Y თაობის რესპონდენტი).

4. განათლებულ ადამიანს შეუძლია სხვადასხვა საკითხზე არსებული ცოდნის წარმოჩენა.

ასე მაგ.,... განათლებული ანუ ბევრ რაღაცაზე შეუძლია რომ ისაუბროს, ინფორმაცია აქვს ბევრ რაღაცასთან დაკავშირებით და ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები, მარტო ინტუიციით და რაღაც ლოგიკით რომ არ ისაუბროს...“ (Y თაობის რესპონდენტი);

... შეუძლია სხვადასხვა თემებზე მსჯელობა, მათი განხილვა“ (Y თაობის რესპონდენტი);

... განათლებული ადამიანი სასიამოვნო მოსაუბრეა...“ (Y თაობის რესპონდენტი);

... განათლებული ადამიანი ლოგიკით, ფაქტებზე დაყრდნობით საუბრობს სხვადასხვა თემებზე“ (Y თაობის რესპონდენტი);

... კარგი მოსაუბრე, სხვადასხვა სფეროში საკუთარი ხედვის მქონე, პასუხის მქონე, აზრის გამომთქმელი პიროვნება არის განათლებული“ (Y თაობის რესპონდენტი);

... საკუთარი აზრის გამოხატვა და ცოდნის გამოყენება შეუძლია“ (Y თაობის რესპონდენტი).

ამ საკითხზე X თაობაში გამოიკვეთა შემდეგი კატეგორიები:

1. ადამიანის განათლება ცოდნასთან ერთად მის დადებით პიროვნულ მახასიათებლებში გამოიხატება, კერძოდ არის კეთილია და გონიერი

ასე მაგ., „...განათლებული ადამიანი არის ის ვინც ბევრი რამ იცის და კეთილია, დადებითი თვისებებით გამოირჩევა განათლებული ადამიანი”

„...განათლებული ადამიანი არის კეთილი....“

„... განათლებული ადამიანი არის ინტელიგენტი ნასწავლი ნაკითხი ერთმანეთში შერწყმული, ჩამოაყალიბებული პიროვნება”

„... განათლებული ადამიანია შინაგანად გონიერი, მომთმენი”

2. განათლებული ადამიანი შეგნებულია, წინდახედულია და აქვს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა.

ასე მაგ., „... შეგნებული, თავის თავში დაჯერებული ადამიანია, რომელიც ადვილად უმკლავდება ყოფით ცხოვრებისეულ პრობლემებს

„...განათლებული ადამიანი არის წინდახედული“

3. განათლებულმა ადამიანმა იცის საზოგადოებაში მოქცევის წესები/ეტიკეტი, ზრდილობიანია, კულტურულია.

ასე მაგ., „.. განათლებული პიროვნება არის კულტურის მქონე, გაწონასწორებული, საზოგადოებისთვის მიღებული“

„... ნებისმიერი ელემენტარული ქცევებიც კი ადამიანს შეიძლება გაუნათლებლობაში ჩაუთვალო. მაგალითად, ის, რომ ადამიანმა სალამი არ იცის. შეიძლება არაერთი უმაღლესი გქონდეს დამთავრებული და მაინც გაუნათლებელი იყო“

3. განათლებული ადამიანი კარგი მოქალაქეა.

ასე მაგ., „...კარგი მოქალაქე, ცდილობს უკეთესი სამყაროს შექმნას“

„... განათლებულმა ადამიანმა საჭიროა გასცეს ცოდნა ...“

4. განათლებულ ადამიანს შეუძლია გარემოსთან ადაპტირება.

ასე მაგ., „... ფლობს 21-ე საუკუნეში ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციას“

„... თავისი შრომით შეუძლია ნორმალური ფუნქციონირება და ადაპტირება გარემოსთან“

„...განათლებული ადამიანი ერგება შესაბამის სიტუაციას, იცის როგორ მოიქცეს“

ამგვარად, ახალი თაობის წარმომადგენლებისთვის განათლებული ადამიანის კონცეპტი სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება. პირველი, ეს არის ცოდნა - ზოგადი და კონკრეტული (პროფესიული) ცოდნა, მეორე - ადეკვატური ქცევა/გადაწყვეტილებები, და მესამე - ცოდნის საზოგადოებაში წარმოჩენის უნარი (სოციალური სტატუსის ინსტრუმენტი).

საინტერესოა, რომ ძველი თაობა განათლებულ ადამიანს განიხილავს სოციალიზაციის პროცესში შეძენილ პიროვნული ნიშან-თვისებათა კატეგორიაში, როგორცაა, ჰარმონიული პიროვნება, კეთილი, ჩამოყალიბებული, გონიერი, მომთმენი, კარგი მოქალაქე, შეგნებული, წინდახედული, ზრდილობიანი, კულტურული, ყოფიერისგან ამალღებული პიროვნება და სხვ. ამგვარად, X თაობის წარმომადგენლებისთვის განათლებული ადამიანი კულტურულად მისაღები ნიშან-თვისებათა მატარებელია და შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განათლებული ადამიანი ე.წ. კულტურულ ადამიანთან იგივედება.

კითხვა III: რას ემსახურება განათლება

განათლების არსის უფრო დეტალური წვდომისათვის, ინტერვიუების დროს დამატებით დაისვა კითხვები, თუ რას ემსახურება განათლება, რა არის მისი მიზანი, რატომ ვიღებთ განათლებას, რა არის განათლების შედეგი.

აღნიშნულ საკითხებზე ახალ (მილენიალების) თაობაში გამოიყო შემდეგი კატეგორიები:

1. განათლება ემსახურება ადამიანის კეთილდღეობას, მატერიალურ უზრუნველყოფას, ცხოვრების გაუმჯობესებას.

ასე მაგ., ... განათლება ემსახურება არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც ცალკეული ადამიანების, აგრეთვე ზოგადად მოსახლეობის.

... ცხოვრების გაუმჯობესებას

.... მატერიალური უზრუნველყოფა და სხვებზე ზრუნვა

...განათლება ემსახურება ადამიანის კეთილდღეობას, მატერიალურ შემოსავალს.

... უფრო უკეთეს პოზიციაზე სამსახურის დაწყება და უფრო უზრუნველყოფილი ცხოვრება.

...უზრუნველყოფს საკუთარსა და შვილების ცხოვრებას;

..საჭირო უნარების შეძენას, რათა პრაქტიკულად გამოიყენო განათლება, ზოგი განათლებას იღებს გათხოვების გულისთვის. მატერიალური უზრუნველყოფისთვის, პირადი კმაყოფილებისთვის, თვითრეალიზებისთვის.

... განათლებას ვიღებთ მატერიალური მდგომარეობის და სოციალური სტატუსის გასაუმჯობესებლად

2. განათლება ემსახურება მომავალი თაობების აღზრდას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

...განათლება ემსახურება იმას, რომ გაუმჯობესდეს და ამაღლდეს მომავალი თაობების ცხოვრების დონე,

...განათლებას მნიშვნელობა აქვს: პიროვნული განვითარების, მომავალი თაობების აღზრდისთვის, კარიერის მოწყობისთვის.

...განათლება ემსახურება სოციალური გარემოს შეცვლას უკეთესობისკენ.

3. განათლება ემსახურება დასახული მიზნების მიღწევას;

... მთავარი დასახული მიზნების და ოცნებების განხორციელებაა;

... დასახული მიზნების მიღწევას;

... განათლება არის ცხოვრებისეული საფეხური, რომლითაც აღწევ მიზანს.

4. განათლება ემსახურება თვითდამკვიდრებას და აღიარების მოპოვებას.

... მნიშვნელოვანია იმისთვის რომ იცხოვრო, მიიღო აღიარება,

... განათლებას მნიშვნელობა თვითდამკვიდრებისთვის აქვს.

...განათლების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებისთვის საჭიროება გახლავთ. განათლება თვითდამკვიდრების საშუალებაა.

...პირადი მოტივაცია განათლების მიღების სურვილი იყო, სხვებისთვის შეიძლება სახელი იყოს.

... პრიორიტეტული მიზანი არის კარიერის მოწყობა

5. განათლება ემსახურება თვითგანვითარებას, თვალსაწიერის გაფართოებასა და საკუთარი თავის შემეცნებას.

...თვალსაწიერს უფართოებს და აჩვენებს შესაძლებლობებს;

...განათლება ემსახურება თვითრეალიზაციას

.... საკუთარი თავის შეცნობა და სამყაროში ადგილის პოვნაა;

....საკუთარი ცოდნისა და ძალების რეალიზაციაა

ძველი (X) თაობა, ასევე, მიიჩნევს, რომ განათლება ემსახურება მომავალი თაობების აღზრდას და კეთილდღეობას, ასევე საკუთარი ცხოვრების და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუმცა გამოიკვეთა, ასევე, ზოგადი მოსაზრება, რომ განათლებამ რაიმე ღირებული უნდა შექმნას:

1. განათლება ემსახურება ადამიანის კეთილდღეობას, მატერიალურ უზრუნველყოფას, ცხოვრების გაუმჯობესებას.

... საკუთარი და ოჯახის ცხოვრების აზრიანი წარმართვა

.... მატერიალურად იყო უზრუნველყოფილი და „თავში რაღაც გეყაროს“

....უზრუნველყოფს საკუთარსა და შვილების ცხოვრებას;

... განათლებას ვიღებთ მატერიალური მდგომარეობის და სოციალური სტატუსის გასაუმჯობესებლად

2.განათლება ემსახურება მომავალი თაობების უფრო წარმატებულ აღზრდას

...განათლებული ადამიანს უფრო კარგი დამოკიდებულება აქვს ოჯახში, შვილების აღზრდა უკეთესად შეუძლია.

.... უკეთ ფუნქციონირება, შვილების უკეთ აღზრდა

... განათლებას მნიშვნელობა აქვს: მომავალი თაობების აღზრდისთვის, ...

... განათლება ემსახურება კეთილშობილებას, ცოდნას, მომავლის ინტერესს.

... ქვეყნისთვის დგება შედეგი, კარგი სპეციალისტი უფრო კარგია საზოგადოებისთვის.

3. განათლების შედეგია რაიმე ღირებულის შექმნა

... რაიმეს შექმნა

... რაიმე ღირებულის შემქნა

...განვითარება და ახლის შექმნა (ცოდნის რეალიზება)

ამრიგად, ახალი თაობის წარმომადგენლებისთვის განათლების მიზანი განხილულია პრაგმატულ-ინსტრუმენტული თვალსაზრისით, როგორც პიროვნულ, ასევე - საზოგადოებრივ ქრილში. უფრო კონკრეტულად, განათლების მიზანია

მატერიალური უზრუნველყოფის და მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვება, საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფა, და ასევე, პიროვნული მიზნების რეალიზაცია, თვითდამკვიდრება, პიროვნული განვითარება და თვითრეალიზაცია.

ძველი თაობის წარმომადგენლებისთვის განათლების მიზანი ასევე პრაგმატულ-ინსტრუმენტულია, მაგრამ მისი ვექტორი გარეთაა მიმართული და იგი უმეტესწილად მატერიალური უზრუნველყოფის და მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვებით და საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფით შემოიფარგლება. აქვე უნდა აღინიშნოს, ზოგიერთი რესპონდენტის მოსაზრება რაიმე ახალის, ღირებულის შექმნასთან დაკავშირებით, რაც ასევე, საზოგადოებრივი სიკეთის კატეგორიას წარმოადგენს.

ამგვარად, ახალი თაობა განათლების მიზანში მოიაზრებს როგორც გარემოზე ორიენტირებული მიზნების რეალიზაციას, ასევე შინაგან, პიროვნებაზე ორიენტირებული მიზნების რეალიზაციას, ხოლო ძველი თაობისთვის განათლების მიზანი უმეტესწილად გარემოზე ორიენტირებული მიზნების რეალიზაციაა.

დასკვნები

ამგვარად, ორი თაობის განათლებისადმი დამოკიდებულების და შეხედულებების კვლევისას, გამოვლინდა, რომ თაობათა შორის არსებობს საკმაოდ მკაფიო განსხვავებები განათლების რაობისა და მიზნის გააზრების მიხედვით.

მილენიალებისათვის კონსტრუქტი „განათლება“ ზოგადი კატეგორიაა და იგი პიროვნულ და კაცობრიობის განვითარებასთან და სრულყოფასთანაა დაკავშირებული. განათლებული ადამიანის კონცეპტი სამ კომპონენტია: პირველი, ეს არის ცოდნა - ზოგადი და კონკრეტული (პროფესიული) ცოდნა, მეორე - ადეკვატური ქცევა/გადაწყვეტილებები, და მესამე - ცოდნის საზოგადოებაში წარმოჩენის უნარი. განსაკუთრებით საინტერესოა ეს უკანასკნელი კომპონენტი, რომელიც აშკარად, სოციალური სტატუსის მოპოვების ინსტრუმენტია და შესაბამისად, ახალი თაობის წარმომადგენელთა სოციალურ სტატუსზე ორიენტაციაზე მიუთითებს. პრაგმატულ-ინსტრუმენტული თვალსაზრისით არის განხილული განათლების მიზანიც: ესაა მატერიალური უზრუნველყოფის და მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვება, საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფა, პიროვნული მიზნების რეალიზაცია, თვითდამკვიდრება, პიროვნული განვითარება და თვითრეალიზაცია. ამგვარად, განათლების მიზანი გააზრებულია როგორც პიროვნული სარგებლის, ასევე - საზოგადოებრივის ჭრილში.

ძველი (X) თაობისთვის კი კონსტრუქტი „განათლება“ უფრო ვიწრო მნიშვნელობის მატარებელია მეტად არის დაკავშირებული კონკრეტული ადამიანის კონკრეტულ ცოდნასთან და მისი გამოყენების უნართან. ძველი თაობის „განათლებული ადამიანის“ კონსტრუქტი სრულიად განსხვავდება მილენიალების შეხედულებებისგან. ძველი თაობისთვის განათლებული ადამიანი დადებითი ნიშან-თვისებებით შემკული ადამიანია. განათლებულ ადამიანს გაშინაგნებული აქვს ცოდნა და იგი მის პიროვნულ თვისებებში ვლინდება. ამასთან, აღნიშნული თვისებები კულტურულად მისაღები და ნორმატიულია. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

განათლება ძველი თაობისთვის პიროვნულ სრულყოფილებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება განათლების მიზანს, ძველი თაობისთვის იგი მაღალი სოციალური სტატუსის, მატერიალური უზრუნველყოფის მიღწევასა და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზეა ორიენტირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Autor, U. (2016). Encyclopedia Americana, a library of universal knowledge (classic reprint). S.I.: Forgotten books.
2. Lawson, R. F., & all (2017). Education. Encyclopædia Britannica, inc. Retrieved from <https://www.britannica.com/topic/education>
3. დიუი ჯ. (2010). დემოკრატია და განათლება. ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2006). ეროვნული სასწავლო გეგმა. თბილისი.
5. Elmore, T. (2010). Generation iY: Our last chance to save their future. Norcross, GA: Poet Gardener Publishing
6. Ho, C. Y. (2010). Intergenerational Learning (Between Generation X & Y) in Learning Families: A Narrative Inquiry. International Education Studies, 3(4), 59-72.
7. Reisenwitz, T. H., & Iyer, R. (2009). Differences in generation X and generation Y: implications for the organization and marketers. Marketing Management Journal, 19(2).
8. Twenge, J. M., Campbell, W. K., & Freeman, E. C. (2012). Generational differences in young adults' life goals, concern for others, and civic orientation, 1966–2009. Journal of personality and social psychology, 102(5), 1045.
9. Schroer, W. (2008). Defining, Managing, and Marketing to Generations X, Y, and Z. The Portal.
10. WMFC. (n.d.). Generational Differences Chart. Retrieved from <http://www.wmfc.org/uploads/GenerationalDifferencesChart.pdf>
11. Gaylor, D. (2002). Generational differences. Retrieved March, 21, 2003. https://www.agts.edu/faculty/faculty_publications/articles/creps_generations_chart.pdf
12. Исаева М. А. Поколение // Знание. Понимание. Умение. 2011. № 1. С. 265–268.
13. Kertzer, D. I. (1983). Generation as a sociological problem. Annual review of sociology, 9(1), 125-149.
14. Савельева, И. М., & Полетаев, А. В. (1997). История и время. В поисках утраченного. М, 3.
15. Mannheim, K. (1970). The problem of generations. Psychoanalytic review, 57(3), 378.
16. Strauss, W., & Howe, N. (1991). Generations: The history of America's future, 1584 to 2069. New York.
17. Howe, N., & Strauss, W. (1997). The Forth Turning. An American Prophecy. What the Cycles of History Tell Us About America's Next Rendezvous with Destiny.
18. Cambiano, R. L., De Vore, J. B., & Harvey, R. L. (2001). Learning style preferences of the cohorts: Generation X, baby boomers, and the silent generation. PAACE Journal of Lifelong Learning, 10, 31-40.
19. ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირების კვლევები (Rep.). (2005-2006). თბილისი, საქართველო: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
20. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კვლევები (Rep.). (2007). თბილისი, საქართველო: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.